8.*Семантические процессы в аспекте Времени в поэзииИ.Бродского.* Статья. В кн.: “История - Филология (Сборник трудов ТГУ)”. Тбилиси 1998 С.402 - 407;

9.*Необычное употребление имен собственных в поэзии И.Бродского.* Материалы научной сессии филологического факультета, посвященной 100-летию со д/р А.Чикобава. Тбилиси 1998 С.173-175.

499.962-1
1-894
-1666-
კულიშოვა ე.გ.
სიტყვა იოსებ ბროდსკის პოეზიაში
-1666-

499.962-1
1-894

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეველინა გრიგორის ასული კულიშოვა

# სიტყვა იოსებ ბროდსკის პოეზიაში

10.02.03 - სლავური ენები

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ენების კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი -ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი ვ.ა.ჟიდკო

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ.ა. ბასილაია

ოფიციალური ოპონენტები : ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ.ა.მახარობლიძე;

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ე.ნ.ყიასაშვილი

წამყვანი ორგანიზაცია - თბილისის სულხან საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის „4" დეკემბერს 12[00] საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P. 10.01 C №5 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „2" ნოემბერს 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი



## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომში განხილულია ნობელის პრემიის ლაურეატის, საუკუნის უკანასკნელი დიდი რუსი პოეტის იოსებ ბროდსკის პოეტური ენის სპეციფიკა.

ბროდსკისთვის დამახასიათებელია სიტყვათა სემანტიკური მიმართება მისი შემოქმედების ცენტრალურ თემებთან - დროისა და განდგომის თემებთან. პოეტის შემოქმედების შესწავლით სერიოზულად არიან დაკავებულნი ამერიკელი და ევროპელი მეცნიერები, ხოლო ბოლო დროს რუსეთშიც დიდი ინტერესით შეისწავლიან ბროდსკის პოეზიას.

**ნაშრომის აქტუალობა** დაკავშირებულია ბროდსკის შემოქმედების შემდგომი შესწავლის აუცილებლობასთან და აგრეთვე განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ბროდსკის პოეტური ენის მეცნიერული შესწავლა პირველად ხდება.

**მეცნიერული სიახლე.** ნაშრომი წარმოადგენს ბროდსკის შემოქმედების კომპლექსური შესწავლის პირველ ცდას დროისა და განდგომის თემების თვალსაზრისიდან. უჩვეულო სიტყვათა ხმარება ბროდსკის პოეზიაში განხილულია ადამიანის მეტამორფოზებთან შესაბამისობაში, რაც სიტყვებში, დენოტატის ახალ თვისებებთან გათანაბრებული, ახალი სემების აღმოჩენის საფუძველია. ნაშრომი წარმოადგენს ცდას მიეცეს ამას ერთიანი, მთლიანი ვექტორული მიმართულების ხასიათი, თვით მოვლენების ლოგიკასთან მიმართებაში. პირველადაა დამუშავებული სიტყვა „ВРЕМЯ"-ს სინონიმური კავშირები მაკროკონტექსტში (ბროდსკის მთელი პოეზიის კონტექსტში) და შემოთავაზებულია ერთ-ერთი შესაძლებელი თვალსაჩინო სქემა: მაკროკონტექსტის „მოლეკულა". ნაშრომში პირველადაა ნაჩვენები ბროდსკის ლექსის ინტონაციური მიმდინარეობის სემანტიკური ასპექტი, რომელიც თავისი არსით დროის სვლას